

ბულგარეთში, ქ. ვარნის თავისუფალი უნივერსიტეტის ორგანიზებით 2019 წლის 26-30 აგვისტოს ჩატარდება საერთაშორისო საზაფხულო სკოლა-სემინარი თემატიკით „ტურიზმი - როგორც საზოგადოებრივი განვითარების მდგრადი ფაქტორი“.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი აცხადებს კონკურსს აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად. დაფინანსდება 3 წარჩინებული სტუდენტი ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის სავალდებულოა რუსული ენის ცოდნა.

აპლიკანტებმა მიმდინარე წლის 18 თებერვლამდე მენეჯერის სამსახურში (ოთახი 708ა) უნდა წარმოადგინონ:

1. სტუდენტის სასწავლო ბარათი;
2. შესაბამისი დეპარტამენტის რეკომენდაცია;
3. საზღვარგარეთის პასპორტი.

აპლიკანტებთან გასაუბრება შედგება რუსულად მიმდინარე წლის **20 თებერვალს**.